

**შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
პიატა კაპიტალ“**

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	16
6. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	17
7. გაცემული სესხები	17
8. გადასახადები.....	19
9. აქტივის გამოყენების უფლება	19
10. მიღებული სესხები.....	19
11. საიჯარო ვალდებულებები.....	21
12. კაპიტალი	21
13. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	22
14. საოპერაციო ხარჯები.....	22
15. წმინდა (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	22
16. პირობითი ვალდებულებები	22
17. ფინანსური რისკების მართვა.....	23
18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	26
19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები	27

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ.....	29
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	31
3. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის განვითარების გეგმები	32
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	33
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შექმნის შესახებ	33
6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	33

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის მენეჯმენტსა და დამფუძნებლებს

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგის გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

წინა საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციამ გაცემულ სესხებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისა და საპროცენტო შემოსავლის გადაანგარიშება განახორციელა ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტების“ მოთხოვნების შესაბამისად. გადაანგარიშების შედეგად გამოვლენილი 129,791 ლარის ოდენობის ნეტო ეფექტი აღიარდა 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში და ასახულია საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში. აღნიშნულ კორექტირებას გავლენა არ მოუხდენია ორგანიზაციის 2024 წლის ფინანსურ შედეგებსა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე. სწორად რომ მომხდარიყო გასული პერიოდის უზუსტობის გასწორება, 129,791 ლარით შეიცვლებოდა შესადარისი პერიოდის საწყისი გაუნაწილებელი მოგება.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 28-36 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან,

ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა ორგანიზაციას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძვლად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჟღავნებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“-ის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების ვერ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ

მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

15 ივნისი, 2026

თბილისი, საქართველო.

მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს.

შპს „ეკოვის საქართველო აუდიტი“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)



ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A- 629166)

15 ივნისი, 2026

თბილისი, საქართველო.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,224,477	1,121,951
გაცემული სესხები	7	6,638,157	6,556,172
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	8	2,010	2,010
საგადასახადო აქტივი	8	-	61,873
სხვა აქტივები		33,071	33,484
აქტივის გამოყენების უფლება	9	26,234	52,468
ძირითადი საშუალებები		6,008	6,060
სულ აქტივები		7,929,957	7,834,018
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	6,027,773	5,799,137
საიჯარო ვალდებულებები	11	33,548	62,959
საგადასახადო ვალდებულება	8	11,980	-
სულ ვალდებულებები		6,073,301	5,862,096
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,013,370	1,013,370
გაუნაწილებელი მოგება	12	843,286	958,552
სულ კაპიტალი		1,856,656	1,971,922
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,929,957	7,834,018

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 15 ივნისს:

სულხან ჯორთმენაძე დირექტორი	თამარ წილოსანი ბუღალტერი
--------------------------------	-----------------------------

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,224,477	1,121,951
გაცემული სესხები	7	6,638,157	6,556,172
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი	8	2,010	2,010
საგადასახადო აქტივი	8	-	61,873
სხვა აქტივები		33,071	33,484
აქტივის გამოყენების უფლება	9	26,234	52,468
ძირითადი საშუალებები		6,008	6,060
სულ აქტივები		7,929,957	7,834,018
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	10	6,027,773	5,799,137
საიჯარო ვალდებულებები	11	33,548	62,959
საგადასახადო ვალდებულება	8	11,980	-
სულ ვალდებულებები		6,073,301	5,862,096
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	12	1,013,370	1,013,370
გაუნაწილებელი მოგება	12	843,286	958,552
სულ კაპიტალი		1,856,656	1,971,922
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,929,957	7,834,018

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 15 ივნისს:

სულხან ჯორთმენაძე
დირექტორი



თამარ წილოსანი
ბუღალტერი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	13	1,900,871	1,746,915
საპროცენტო ხარჯი	13	(369,749)	(319,623)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე		1,531,122	1,427,292
ზარალი გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილებიდან	7	(774,475)	(392,017)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		756,647	1,035,275
საოპერაციო ხარჯები	14	(326,225)	(316,857)
წმინდა (ზარალი)/მოგება სავალუტო ოპერაციებიდან	15	103,140	(168,405)
მოგება დაბეგრამდე		533,562	550,013
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(148,828)	(92,367)
წლის სრული შემოსავალი		384,734	457,646

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	1,013,370	971,115	1,984,485
წინა პერიოდის კორექტირებები	-	129,791	129,791
წლის სრული შემოსავალი	-	457,646	457,646
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდის გამოცხადება (შენიშვნა 12)	-	(600,000)	(600,000)
31 დეკემბერი 2024	1,013,370	958,552	1,971,922
წლის სრული შემოსავალი	-	384,734	384,734
მფლობელთან განხორციელებული ოპერაციები:			
დივიდენდის გამოცხადება (შენიშვნა 12)	-	(500,000)	(500,000)
31 დეკემბერი 2025	1,013,370	843,286	1,856,656

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2025	2024
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მოგება დაბეგვრამდე	533,562	550,013
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	28,771	28,111
საპროცენტო ხარჯი	369,749	319,623
საპროცენტო შემოსავალი	(1,855,376)	(1,726,775)
ზარალი გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხის ცვლილებიდან	774,475	392,017
წმინდა ზარალი/(მოგება) საკურსო სხვაობიდან	(103,140)	168,405
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე სამუშაო კაპიტალის კორექტირებამდე	(251,959)	(268,606)
სამუშაო კაპიტალის კორექტირება:		
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები სხვა აქტივებში	413	16,770
ცვლილებები გაცემულ სესხებში	(905,384)	(1,451,326)
შემცირება საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები გადასახადებში	92,966	(103,457)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(1,063,964)	(1,806,619)
გადახდილი მოგების გადასახადი	(167,941)	(56,951)
გადახდილი პროცენტი	(360,048)	(319,623)
მიღებული პროცენტი	1,876,059	1,527,143
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	284,106	(656,050)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(2,485)	(3,307)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,485)	(3,307)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
აღებული სესხი	351,644	1,461,937
გადახდილი დივიდენდი	(500,000)	(600,000)
ცვლილებები საიჯარო ვალდებულებებში	(29,411)	(25,786)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან/(საქმიანობაზე)	(177,767)	836,151
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ეკვივალენტების	103,854	176,794
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,121,951	922,289
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	(1,328)	22,868
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,224,477	1,121,951

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“ (ს/ნ 445425763) (შემდგომში „ორგანიზაცია“) დაარსდა საქართველოში 2013 წლის 16 მაისს, ხოლო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსი მიიღო 2013 წლის 15 აგვისტოს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. ორგანიზაციის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ., N25ა.

ძირითადი საქმიანობა. ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობა არის უძრავი ქონებით, ავტომობილებით, ძვირფასი ლითონებით და სხვა ქონებით უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი მცირე და საშუალო სესხების გაცემა.

ორგანიზაციის მეწილეები: ორგანიზაციის მეწილეების სტრუქტურა, 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სს „ჰეგან სა“, შვეიცარია	60%	60%
სულხან ჯორთმენაძე	20%	20%
ვაჟა ბოლქვაძე	20%	20%

ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა გიორგი-გოჩა ჭილაძე.

საქართველოს ბიზნეს გარემო. ორგანიზაცია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ერთეულ ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ორგანიზაციის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ ორგანიზაცია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია ორგანიზაციისთვის.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს ორგანიზაციამ გამოიყენა საბჭოს მიერ გამოშვებული ფასს სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების შემდეგი შესწორებები, რომლებიც ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის.

- შესწორებები ბასს 21-ში, ვალუტის გაცვლის შესაძლებლობის ნაკლებობა (გამოცემულია 2023 წლის 15 აგვისტოს და ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას არ ჰქონია რაიმე საგრძნობი ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებულ თანხებზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის ორგანიზაციის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო	გირვანქა სტერლინგი
2025 წლის 31 დეკემბერი	2.6951	3.1737	3.6446
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306	3.5349

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკში განთავსებულ თანხებს მიმდინარე ანგარიშებზე და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალება აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის საფუძველზე.

• **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

• **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ორგანიზაცია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

• **ცვეთა.** აქტივის საბალანსო ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითად საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
ავეჯი	5
საოფისე აღჭურვილობა	5
სხვა	5

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივებს, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, გაუფასურებაზე აფასებენ მაშინ, როდესაც მოვლენების ან გარემოებების ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალურ ღირებულებასა და მის გამოყენებით მისაღებ ღირებულებას შორის უდიდესი.

აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი.

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI); და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს ორგანიზაციის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოდგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალო ინსტრუმენტის ფლობილი ხდება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც ორგანიზაცია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას. წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია

გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. ორგანიზაცია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

ბიზნეს მოდელის შეფასება. ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისთვის;
- აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან/და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ორგანიზაციამ შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სანამ აქტივს ვადა დაუდგება.
- სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმებში.

ბიზნეს მოდელის შეფასება მოითხოვს მსჯელობას, რომელიც დაფუძნებულია შეფასების თარიღში არსებული ფაქტებისა და გარემოებების შეფასებაზე. ბიზნეს მოდელი არ არის შეფასებული ცალკეული ფინანსური ინსტრუმენტის მიხედვით, არამედ შეფასებულია უფრო მაღალი დონის ფაქტორის - ფინანსური ინსტრუმენტის სახეობის შესაბამისად აგრეგირებული პორტფელის მიხედვით.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას ორგანიზაციამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნესმოდელში; რისკები, რომლებიც ახდენს გავლენას ამ ბიზნესმოდელზე; ამ რისკების მართვის გზები და უმაღლესი ხელმძღვანელობის კომპეტენცია. გასაყიდად ფლობილი ან მართული ფინანსური აქტივები, რომელთა მაჩვენებლები ფასდება რეალური ღირებულების საფუძველზე, შეფასებულია FVTPL-ში ასახვით, რადგან ისინი არც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის და არც ორივე - სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისა და ფინანსური აქტივების გაყიდვისთვის არიან განკუთვნილი.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** ორგანიზაცია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ორგანიზაცია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც ორგანიზაცია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდოს ან გაყიდოს აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

ორგანიზაცია ამოიღებს ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღირიცხება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა** საწყისი აღიარებისას ორგანიზაცია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების)

(მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყეუ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია ორგანიზაციის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც ორგანიზაცია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობების და დანაკარგების აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.
- **FVOCI.** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს, ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.
- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივი ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ცვლილება გაუფასურების შეფასებაში. ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად ECL ანგარიშდება ყველა ფინანსური აქტივისთვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულების სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხვით. გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ECL-ს, რომელიც პირველ ეტაპზე დაანგარიშებულია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, მანამ სანამ არ მოხდება

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, რა დროსაც გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე დაანგარიშებულ ECL-ს.

ფასს 9-ის მიხედვით ორგანიზაცია ჯერ ცალკეულად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის განსაზღვრავს თუ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. შემდგომ კი ჯგუფურად აფასებს იმ აქტივებს, რომლებიც

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცალკეულად არ არის მნიშვნელოვანი და აქტივებს, რომლებიც მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება გამოვლენილი მათი ცალკეულად შეფასებისას.

ჯგუფურად შეფასებული ფინანსური აქტივები (მაგ. გაცემული სესხები) დაჯგუფებულნი არიან საერთო საკრედიტო მახასიათებლების, უზრუნველყოფის სახისა და პროდუქტის სახის მიხედვით.

სამ ეტაპიანი მიდგომა

ფასს 9 წარადგენს 3 ეტაპს ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურებისთვის, მათი წარმოქმნის ან შექმნის თარიღში. ეს მიდგომა შეჯამებულია ქვემოთ:

1-ლი ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით. ეს წარმოადგენს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილს დეფოლტის შემთხვევაში, საანგარიშგებო პერიოდიდან 12 თვის ვადაში, იმ დაშვებით, რომ თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკი არ გაზრდილა მნიშვნელოვნად. იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელთა ვადიანობა 12 თვეზე ნაკლებია, დეფოლტის ალბათობა იგივეა, რაც არსებობის მანძილზე.

მე-2 ეტაპი: ორგანიზაცია აღიარებს საკრედიტო ზარალის ანარიცხს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხით, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომლებმაც თავდაპირველი აღიარების შემდეგ განიცადეს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. ეს მოითხოვს ECL-ის გამოთვლას, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე დეფოლტის მოხდენის ალბათობაზე. ანარიცხი საკრედიტო ზარალზე ამ ეტაპზე არის უფრო მაღალი, რადგან გაზრდილია საკრედიტო რისკი და გასათვალისწინებელი პერიოდი უფრო გრძელია ვიდრე 1 ეტაპის 12 თვე. მე-2 ეტაპზე მყოფი ფინანსური ინსტრუმენტები ჯერ (ამ ეტაპისთვის) არ იგულისხმებიან გაუფასურებულად.

მე-3 ეტაპი: თუ ფინანსური ინსტრუმენტი არის გაუფასურებული, იგი გადადის მე-3 ეტაპზე. ორგანიზაცია აღიარებს გაუფასურების ზარალს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის თანხით, ამ გაუფასურებული ფინანსური ინსტრუმენტების PD-ის 100 %-ით.

ორგანიზაცია ითვალისწინებს დეფოლტირებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და შესაბამისად მე-3 სტადიას (გაუფასურებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში ყველა შემთხვევაში, როცა მსესხებელს სახელშეკრულებო გადახდების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება ექნება.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

იმის განსაზღვრისას, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის მოხდენის რისკი, მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ორგანიზაცია ითვალისწინებს გონივრულ და საჭირო ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევების გარეშე. ეს მოიცავს რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს, ანალიზს, რომელიც დაფუძნებულია ორგანიზაციის წარსულ გამოცდილებაზე და საკრედიტო ექსპერტების შეფასებაზე, ასევე მომავლის პროგნოზირებისთვის საჭირო ინფორმაციას.

რაოდენობრივი ინფორმაცია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და ეფუძნება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობის ცვლილებას შემდეგი ორი მაჩვენებლის შედარებით

- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა ანგარიშგების დღეს; და
- დარჩენილი არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა მოცემული დროის მონაკვეთში, რომლის შეფასებაც მოხდა იმ ფაქტებსა და მოვლენებზე დაყრდნობით რომელიც არსებობდა აღიარების მომენტში.

ორგანიზაციის აზრით საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება არაუადრეს 30 დღიანი ვადაგადაცილებისა.

ორგანიზაცია რეგულარულად მიმოიხილავს შემდეგ ფაქტორებს, რათა დარწმუნდეს, რომ აღნიშნული კრიტერიუმები ეფექტურია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის მონიტორინგისას:

- კრიტერიუმებს აქვს უნარი გამოავლინონ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დეფოლტის დადგომამდე;
- ადგილი არ აქვს დროში დამთხვევას (კრიტერიუმის მხრივ), როდესაც აქტივი ხდება 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილების;

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროგნოზო ინფორმაცია

ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო ზარალების ანარიცხი დაფუძნებულია გონივრულ და საჭირო საპროგნოზო ინფორმაციაზე, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი ხარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, რომელიც მოიცავს წარსულ მოვლენებს, მიმდინარე პირობებსა და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს. ორგანიზაცია საპროგნოზო ინფორმაციას იყენებს, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის შესაფასებლად, ისე ECL-ის გაზომვის დროს.

ორგანიზაციამ გამოავლინა და დაადოკუმენტირა პორტფელის საკრედიტო რისკისა და საკრედიტო ზარალების მნიშვნელოვანი მამოძრავებელი ფაქტორები, ისტორიული მონაცემების გამოყენებით, შეაფასა დეფოლტის ალბათობაზე მაკროეკონომიკური ფაქტორების ზეგავლენა და ამოღების განაკვეთი.

ECL -ის განსაზღვრის ძირითადი სტრუქტურული კომპონენტებია:

- დეფოლტის ალბათობა (PD);
- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD);
- დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD).

აღნიშნული პარამეტრები, როგორც წესი შეფასებულია შიდა სტატისტიკური მოდელების და სხვა ისტორიული მონაცემთა ბაზის გამოყენებით. ისინი შექმნილია სამომავლო პროგნოზის ასახვის მიზნით, როგორც ზემოთ არის აღწერილი. ეს ცვლადები (EAD-ის გარდა) დაანგარიშებულია ყოველწლიურად. EAD განახლდება ყოველთვის, როდესაც ხდება სესხის გაუფასურების ანარიცხის კალკულაცია.

დეფოლტის ალბათობა (PD) PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელების მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით.

დეფოლტის ალბათობის განსაზღვრისთვის ორგანიზაცია იყენებს ბოლო 3 წლის სტატისტიკას. PD გამოითვლება სასესხო პორტფელის მიმართ მიგრაციის მატრიცის მისადაგებით, რომელიც გვიჩვენებს სასესხო პორტფელის გადანაცვლების ალბათობას გაუფასურების ეტაპებს შორის.

ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) LGD გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისთვის, რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად გამოიყენება ბოლო 3 წლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) განმავლობაში გადეფოლტებული სესხები და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხის შემოღებები წლის ჭრილში.

ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაანგარიშდება ცალ-ცალკე ყველა სეგმენტისთვის.

დეფოლტის რისკის პოზიცია (EAD) EAD წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას, პოტენციური დეფოლტის მოხდენის მომენტში. ეს წარმოადგენს მიუღებელ ფულად ნაკადებს დეფოლტის მომენტში, წინსწრებით დაფარვების, პროცენტის დაფარვებისა და EIR-ით დისკონტირებული დარიცხვების გათვალისწინებით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს რეგულაციით დადგენილს.

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია.** ორგანიზაციის ფინანსური აქტივები, ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის, ხდება იმ კატეგორიაში, რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს გაცემულ სესხებს, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: ა) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებებს და ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. გასაყიდად ფლობილი ვალდებულებები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით,

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც ორგანიზაცია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან
- ვალდებულება არის სავალო ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

• **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრებისას.

საპროცენტო შემოსავლისა და ხარჯის აღიარება. საპროცენტო ხარჯები და შემოსავლები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. ამ მეთოდის შესაბამისად გადავადდება ყველა ის საკომისიო შემოსავალი და ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და სესხის მიღებასთან, რადგანაც ოპერაციის ხარჯები ჩართულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშებაში ჩაირთვება ისეთი შემოსავლები და ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია სესხის გაცემასთან და მიღებასთან. მაგალითად, საკომისიო შემოსავალი და დარიცხული ჯარიმები. ჯარიმებიდან შემოსავალი შესულია საპროცენტო შემოსავალში, როგორც საკრედიტო რისკის ნაგულისხმები კომპენსაცია. ყველა დანარჩენი საკომისიოს აღიარება ხდება მომსახურებების გაწევისთანავე. სხვა შემოსავლები და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შესაბამისობაშია გაცემული ან მიღებული სერვისის მოცულობასთან.

ფინანსური ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც იმყოფება 1-ელ და მე-2 ეტაპზე, ორგანიზაცია საპროცენტო შემოსავალს არიცხავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით მთლიან საბალანსო თანხაზე. მე-3 ეტაპზე არსებული ფინანსური ინსტრუმენტებისთვის საპროცენტო შემოსავალი დაიანგარიშება EIR-ის გამოყენებით, სესხების ამორტიზებული ღირებულებაზე (ე.ი. მთლიანი საბალანსო თანხა შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარცხით). იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც შესყიდვის ან წარმოქმნის მომენტში გაუფასურებული, საპროცენტო შემოსავალი ერიცხებათ EIR-ის გამოყენებით, ამორტიზებულ ღირებულებაზე.

რეალური ღირებულების შეფასების იერარქია. ფასს 13 მოითხოვს განმარტებით შენიშვნებს რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების და ვალდებულებებისთვის იმ დამკვეთების შესახებ, რაც გამოყენებულ იქნა რეალური ღირებულების განსაზღვრისას. რეალური ღირებულების იერარქია მოიცავს შემდეგ დონეებს:

1. იდენტური აქტივების და ვალდებულებების კოტირებული ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე (1-ლი დონე);
2. პირველ დონეში შემავალი კოტირებული ფასისგან განსხვავებული სხვა ინფორმაცია, რომელიც არის დაკვირვებადი პირდაპირ ან არაპირდაპირ (მე-2 დონე); და
3. ინფორმაცია, რომელიც არ არის დაკვირვებადი აქტიურ ბაზარზე (მე-3 დონე). რეალური ღირებულების იერარქია განისაზღვრება ყველაზე დაბალი დონის შესაბამისად, რომელიც არსებით გავლენას ახდენს რეალური ღირებულების

განსაზღვრაზე. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები კლასიფიცირებულია ერთ-ერთ დონეში. ორგანიზაციას არ გააჩნია რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, შესაბამისად, ისინი არაა წარმოდგენილი ფასს 13-ის მიხედვით რეალური ღირებულების იერარქიულად შეფასების პრინციპით.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას ორგანიზაცია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად, თუ რამდენად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა, ორგანიზაცია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას;
- ორგანიზაციას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. ორგანიზაციას უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, ორგანიზაციას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

- (i) ორგანიზაციას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
- (ii) ორგანიზაციამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

ორგანიზაცია, როგორც მოიჯარე

თავდაპირველი აღიარება. ორგანიზაცია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ორგანიზაცია აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის ღირებულებულულებას დაკორექტირებული საიჯარო გადახდებით, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებით და იმ დანახარჯებით, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.

ცვეთა. აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან იჯარის ვადამდე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრისას ორგანიზაცია იყენებს იგივე მიდგომებს, როგორც ძირითად საშუალებებზე. ორგანიზაცია აქტივის გამოყენების უფლებას პერიოდულად ამცირებს გაუფასურების ზარალით, თუ არსებობს საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების საჭიროება.

აქტივის გამოყენების უფლება

ოფისი

**სასარგებლო
მომსახურების ვადა**

5 წელი

შემდგომი შეფასება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, ორგანიზაცია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ა) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;
- გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ორგანიზაცია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებებს როდესაც შეიცვლება თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან როდესაც შეიცვლება ორგანიზაციის შეფასება კონტრაქტის გაყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის უფლების შესახებ.

ორგანიზაცია საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებულ თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, მოიჯარემ ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიაროს მოგება/ზარალში. ორგანიზაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს აქტივის გამოყენების უფლებას რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და საიჯარო ვალდებულებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. ორგანიზაცია იყენებს გათავისუფლების უფლებას და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. ორგანიზაცია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით.

მოგების გადასახადი. 2022 წლის 27 დეკემბერს საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილების თანახმად, საბანკო დაწესებულებების, საკრედიტო კავშირების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და სესხის გამცემი სუბიექტები მოგების გადასახადის ახალი (ესტონური) რეჟიმით აღარ დაიბეგრებიან, შესაბამისად, მომავალში ეს სუბიექტები დაიბეგრებიან ისევ ძველი რეჟიმით, კერძოდ ერთობლივ შემოსავალსა და სსკ-ის მიერ გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის სხვაობის მიხედვით. ცვილება ასევე შეეხო შემოსავლისა და ხარჯის აღიარების პრინციპებს, კერძოდ, 2023 წლის 1 იანვრიდან საბანკო დაწესებულებამ, საკრედიტო კავშირმა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ სესხებზე დარიცხული პროცენტები შემოსავლად უნდა აღიაროს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით. რაც შეეხება გაცემულ სესხებზე რეზერვების გამოქვითვას, 2023 წლის 1 იანვრიდან აღნიშნული პირები ერთობლივი შემოსავლიდან სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებს გამოიქვითავენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) მიხედვით, ნაცვლად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესისა. 2023 წლის 1 იანვრიდან საბანკო დაწესებულების, საკრედიტო კავშირის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის, სესხის გამცემი სუბიექტის დასაბეგრი მოგება იბეგრება 20 პროცენტით.

გადავადებული მოგების გადასახადი. არსებული საგადასახადო კანონმდებლობის გათვალისწინებით, ორგანიზაციას წარმოეშვება გადავადებული გადასახადი, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღიარდება ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების და საგადასახადო მიზნებისთვის გამოყენებული თანხების საბალანსო ღირებულებას შორის დროებით სხვაობასთან მიმართებაში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ორგანიზაციის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

მიღებული სესხები. მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით. საწყისი შეფასების შემდგომ, ორგანიზაცია აფასებს ყველა მიღებულ სესხს ამორტიზებადი ღირებულებით და ყველა სხვაობა მიღებულ შემოსავალსა და გამოქვითვებს შორის აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იჯარება თანამშრომლის ხელფასიდან და ორგანიზაციას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის

პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ორგანიზაცია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

წინა საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების მიზნებისთვის დანერგა ფასს 9. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისთვის ორგანიზაციამ გამოიყენა ანარიცხვის მატრიცული მეთოდი, რომელიც ეფუძნება წარსულ სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით განსაზღვრულ რეზერვის განაკვეთებს. აგრეთვე, გაითვალისწინა მოსალოდნელი მაკროეკონომური ფაქტორები და მათი გამოყენებით დაზუსტდა რეზერვის განაკვეთები.

ქვემოთ მოცემულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკაში გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების (ზარალის) რეზერვების შეფასებაზე:

- **დეფოლტის ალბათობა:** დეფოლტის ალბათობა (PD) წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- **ზარალი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში:** ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) არის შესაძლო ზარალის შეფასება, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში. იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და იმ ნაკადებს შორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის მსესხებელი, სესხის უზრუნველყოფებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გათვალისწინებით.
- **საპროგნოზო სცენარების დადგენა:** მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) გაზომვისას ორგანიზაცია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო ინფორმაციას, რომელიც ეფუძნება დაშვებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.

საგადასახადო კანონმდებლობა.

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ორგანიზაციას დამატებით გადასახადებს, იმ

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდინან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. მოსალოდნელია, რომ ქვემოთ მოცემული ახალი და კორექტირებული სტანდარტები, არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას მომავალში ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილება ფინანსური აქტივების კლასიფიკაციაში და შეფასებაში (ცვლილება ფასს9 და ფასს 7);
- IFRS 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: გამჟღავნებები (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 მაისს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).
- IFRS ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება (გამოქვეყნდა 2024 წლის ივლისში და ძალაში შევიდა 2026 წლის 1 იანვრიდან).

ორგანიზაცია ამჟამად ცდილობს განსაზღვროს ყველა გავლენა, რომელიც ამ ცვლილებებს ექნება ძირითად ფინანსურ ანგარიშგებებზე და ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებზე:

- IFRS 18 ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა და გამჟღავნება (გამოქვეყნდა 2024 წლის 9 აპრილს და ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

2024 წლის აპრილში, IASB-მ გამოსცა IFRS 18, ფინანსური ანგარიშგებაში წარდგენისა და გამჟღავნების ახალი სტანდარტი, რომელიც ფოკუსირებულია მოგების ან ზარალის ანგარიშგების განახლებებზე. ფასს 18-ს შემოაქვს ახალი მოთხოვნები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ინფორმაციის, მათ შორის კონკრეტული ჯამებისა და ქვეჯამების წარდგენასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, საწარმოებს ევალებათ ყველა შემოსავლისა და ხარჯის კლასიფიცირება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხუთიდან რომელიმე კატეგორიაში: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადები და შეწყვეტილი ოპერაციები. აქედან პირველი სამი კატეგორია ახალია.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფული მინდინარე საბანკო ანგარიშზე	726,077	90,884
მოთხოვნამდე დეპოზიტი	423,955	884,089
ფული სალაროში	74,445	146,978
სულ	1,224,477	1,121,951

ორგანიზაციას ბანკში აქვს, როგორც მიმდინარე ანგარიშები, ასევე მოთხოვნამდე დეპოზიტები ლარში და დოლარში. საპროცენტო განაკვეთი დოლარში განთავსებულ ანაბარზე შეადგენს წლიურ 0,75%-ს, ხოლო ლარში განთავსებულ ანაბარზე შეადგენს წლიურ 8%-ს. 2025 წლისთვის ორგანიზაციის საპროცენტო შემოსავალმა დოლარში განთავსებულ დეპოზიტზე შეადგინა 1,613 ლარი, (2024: 1,958 ლარი), ხოლო ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტზე 43,882 ლარი (2024: 18,182 ლარი).

ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო. ორგანიზაციის ბანკში არსებული ნაშთები მოიცავს მიმდინარე ანგარიშებს ქართულ ბანკებში და ისინი გამოიყენება ყოველდღიური საქმიანობებისთვის.

2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკში არსებული ნაშთები განთავსებულია ბანკებში, რომლებსაც ფიტჩის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ BB- (გრძელვადიანი) რეიტინგი.

ფული და ფულის ეკვივალენტები ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია 17-ე შენიშვნაში.

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ძირი	8,682,747	7,851,099
პროცენტი	369,499	344,687
	9,052,246	8,195,786
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(2,414,089)	(1,639,614)
სულ	6,638,157	6,556,172

ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ უზრუნველყოფების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გაცემული სესხები წმინდა
არაუზრუნველყოფილი სესხები	719,955	(42,828)	677,127
უზრუნველყოფილი შემდეგით:			
უძრავი ქონებით	8,088,153	(2,348,359)	5,739,794
მესამე მხარის პირადი გარანტიები	223,363	(20,562)	202,801
მომრავი ქონებით	20,775	(2,340)	18,435
სულ	9,052,246	(2,414,089)	6,638,157

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ უზრუნველყოფების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გაცემული სესხები წმინდა
არაუზრუნველყოფილი სესხები	334,583	(32,820)	301,763
უზრუნველყოფილი შემდეგით:			
უძრავი ქონებით	7,734,139	(1,586,459)	6,147,680
მესამე მხარის პირადი გარანტიები	102,583	(18,160)	84,423
მოძრავი ქონებით	24,481	(2,175)	22,306
სულ	8,195,786	(1,639,614)	6,556,172

ინფორმაცია გაცემული სესხების ტიპების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გაცემული სესხები წმინდა
ბიზნეს სესხი	7,804,219	(2,285,978)	5,518,241
სამომხმარებლო სესხები	1,227,252	(125,771)	1,101,481
ლომბარდი	20,775	(2,340)	18,435
სულ	9,052,246	(2,414,089)	6,638,157

ინფორმაცია გაცემული სესხების ტიპების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გაცემული სესხები წმინდა
ბიზნეს სესხი	7,547,718	(1,539,646)	6,008,072
სამომხმარებლო სესხები	635,072	(98,975)	536,097
ლომბარდი	12,996	(993)	12,003
სულ	8,195,786	(1,639,614)	6,556,172

ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ ვადაგადაცილების მიხედვით 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გაცემული სესხები წმინდა
0-დან 30 დღის ჩათვლით	2,136,691	(66,198)	2,070,493
31-დან 60 დღის ჩათვლით	-	-	-
61-დან 90 დღის ჩათვლით	250,039	(101,950)	148,089
91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	2,410,984	(1,477,724)	933,260
რესტრუქტურირებული	4,254,532	(768,217)	3,486,315
სულ	9,052,246	(2,414,089)	6,638,157

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. გაცემული სესხები (გაგრძელება)

ინფორმაცია გაცემული სესხების შესახებ ვადაგადაცილების მიხედვით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	გაცემული სესხები წმინდა
0-დან 30 დღის ჩათვლით	2,728,309	(68,183)	2,660,126
31-დან 60 დღის ჩათვლით	609,076	(62,250)	546,826
61-დან 90 დღის ჩათვლით	-	-	-
91 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	1,896,600	(1,196,844)	699,756
რესტრუქტურირებული	2,961,801	(312,337)	2,649,464
სულ	8,195,786	(1,639,614)	6,556,172

8. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ორგანიზაციამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაცია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო თანხით.

მოქმედი საგადასახადო განაკვეთი შეადგენს 20%-ს.

გადავადებული მოგების გადასახადი მიმდინარე და შესადარის საანგარიშგებო პერიოდში არ აღიარებულია.

9. აქტივის გამოყენების უფლება

აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია შენობების კატეგორიაში და შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	შენობა
31 დეკემბერი 2023	78,702
შემოსვლა	-
ცვეთის ხარჯი	(26,234)
31 დეკემბერი 2024	52,468
შემოსვლა	-
ცვეთის ხარჯი	(26,234)
31 დეკემბერი 2025	26,234

ორგანიზაციას იჯარით აქვს აღებული შენობა ბათუმში, რომელსაც იყენებს როგორც საოფისე ფართს. საიჯარო გადასახდელები ამ ფართზე არის ფიქსირებული საიჯარო ვადის განმავლობაში.

მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2025	2024
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	(26,234)	(26,234)
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	(6,589)	(10,214)

10. მიღებული სესხები

ორგანიზაციას სუბორდინირებული და არასუბორდინირებული სესხები მიღებული აქვს მშობელი კომპანიისგან 1,200,000 აშშ დოლარის და 55,000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით, ხოლო საბოლოო მაკონტროლებელი მხარისგან მიღებული აქვს სუბორდინირებული სესხი 200,000 აშშ დოლარის ოდენობით. ასევე, ორგანიზაციას აღებული აქვს სუბორდინირებული და არასუბორდინირებული სესხები 282,000 აშშ დოლარისა და 125,000 ევროს ოდენობით ერთ-ერთი მეწილისგან რომლის დაბრუნების მაქსიმალურ თარიღად განსაზღვრულია ხელშეკრულების ვადის ბოლო.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

10. მიღებული სესხები (გაგრძელება)

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციას თიბისი ბანკისგან მიღებული აქვს არასუბორდინირებული სესხი 300,000 ევროს ოდენობით.

სესხები მიღებულია უზრუნველყოფის გარეშე.

ფინანსური მდგომარეობის, გადახდისუნარიანობის ან ლიკვიდაციის შემთხვევაში სუბორდინირებული სესხის კრედიტორის მოთხოვნების დაკმაყოფილება მოხდება მხოლოდ სხვა ყველა არააქციონერ/არაპარტნიორ კრედიტორთა დაკმაყოფილების შემდეგ.

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სუბორდინირებული სესხები					
მშობელი კომპანიისგან	დოლარი	6%	2029	1,617,060	1,684,080
მშობელი კომპანიისგან	დოლარი	6%	2027	1,078,040	-
მშობელი კომპანიისგან	დოლარი	6%	2030	539,020	561,360
საბოლოო მაკონტროლებელი მხარისგან	დოლარი	6%	2028	539,020	561,360
მეწილე ფიზიკური პირისგან	დოლარი	6%	2029	404,265	421,020
მეწილე ფიზიკური პირისგან	ევრო	6%	2029	396,713	366,325
				4,574,118	3,594,145
არასუბორდინირებული სესხები					
სესხი ფინანსური ინსტიტუტისგან	ევრო	6%	2032	909,306	-
მეწილე ფიზიკური პირისგან	დოლარი	6%	2026	215,821	224,544
მშობელი კომპანიისგან	გირვანქა სტერლინგი	6%	2028	188,084	-
მეწილე ფიზიკური პირისგან	დოლარი	6%	2026	140,145	-
მშობელი კომპანიისგან	დოლარი	6%	2028	299	-
მშობელი კომპანიისგან	დოლარი	6%	2027	-	1,122,720
მშობელი კომპანიისგან	გირვანქა სტერლინგი	6%	2029	-	706,980
მეწილე ფიზიკური პირისგან	დოლარი	6%	2025	-	112,575
მეწილე ფიზიკური პირისგან	დოლარი	6%	2025	-	38,173
				1,453,655	2,204,992
სულ				6,027,773	5,799,137

მიღებულ სესხებზე მოძრაობა წლების მიხედვით წარმოდგენილია ქვემოთ:

	2025	2024
1 იანვარი	5,799,137	4,115,631
სესხის აღება	1,938,260	3,351,992
საპროცენტო ხარჯი	363,160	309,409
სესხის ძირის გადახდა	(1,586,616)	(1,890,055)
პროცენტის გადახდა	(353,459)	(309,409)
საკურსო სხვაობა	(132,709)	221,569
31 დეკემბერი	6,027,773	5,799,137

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. საიჯარო ვალდებულებები

ორგანიზაციას იჯარით აქვს აღებული საოფისე ფართი, რომელსაც იყენებს ძირითად საქმიანობაში.

საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობა პერიოდის განმავლობაში:

	შენიშვნა
31 დეკემბერი 2023	88,745
შემოსვლა	-
საპროცენტო ხარჯი	10,214
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(36,000)
31 დეკემბერი 2024	62,959
შემოსვლა	-
საპროცენტო ხარჯი	6,589
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(36,000)
31 დეკემბერი 2025	33,548

საიჯარო ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელი და მეტი	სულ
საიჯარო გადახდები	36,000	-	-	36,000
საპროცენტო ხარჯი	(2,452)	-	-	(2,452)
სულ	33,548	-	-	33,548

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 დან 5 წლამდე	5 წელი და მეტი	სულ
საიჯარო გადახდები	36,000	36,000	-	72,000
საპროცენტო ხარჯი	(6,589)	(2,452)	-	(9,041)
სულ	29,411	33,548	-	62,959

ინფორმაცია მოგება-ზარალში აღიარებულ თანხებზე მოცემულია მე-9 შენიშვნაში.

12. კაპიტალი

ინფორმაცია ორგანიზაციის მეწილეების შესახებ წარმოდგენილია პირველ შენიშვნაში.

საწესდებო კაპიტალი

2025 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში შენატანი არ განხორციელებულა (2024: 0 ლარი). შესაბამისად, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 1,013,370 ლარს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც განაღდებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა არ უნდა იყოს 1,000,000 (ერთი მილიონი) ლარზე ნაკლები, დაკმაყოფილებულია.

დივიდენდი

2025 წელს გამოცხადებულმა დივიდენდმა შეადგინა 500,000 ლარი (2024: 600,000).

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

13. საპროცენტო შემოსავალი/ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი წარმოქმნილია:

	2025	2024
გაცემული სესხებიდან	1,855,376	1,726,775
ბანკში განთავსებული თანხებიდან	45,495	20,140
	1,900,871	1,746,915

საპროცენტო ხარჯი წარმოქმნილია:

	2025	2024
იურიდიული პირებისგან მიღებული სესხებიდან	(222,252)	(196,440)
ფიზიკური პირებისგან მიღებული სესხებიდან	(140,908)	(112,969)
საიჯარო ვალდებულებებიდან	(6,589)	(10,214)
	(369,749)	(319,623)

წმინდა საპროცენტო შემოსავალი	1,531,122	1,427,292
-------------------------------------	------------------	------------------

14. საოპერაციო ხარჯები

საოპერაციო ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
თანამშრომელთა სახელფასო ხარჯი	(183,342)	(189,400)
პროფესიული და საკონსულტაციო მომსახურება	(73,884)	(53,706)
ცვეთა და ამორტიზაცია	(28,771)	(28,111)
სხვა	(40,228)	(45,640)
სულ	(326,225)	(316,857)

15. წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან

წმინდა მოგება/(ზარალი) სავალუტო ოპერაციებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2025	2024
მიღებული სესხები	132,709	(221,569)
გაცემული სესხები	(28,241)	30,296
ფული და ფულის ეკვივალენტები	(1,328)	22,868
სულ	103,140	(168,405)

16. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული კმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, ორგანიზაციას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს ორგანიზაციის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

16. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება ორგანიზაციის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

17. ფინანსური რისკების მართვა

ორგანიზაციაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს.

საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. ორგანიზაციის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკებს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორცაა გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე.

საკრედიტო რისკი. ორგანიზაციას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და გაცემულ სესხებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
გაცემული სესხები	6,638,157	6,556,172
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,224,477	1,121,951
სულ ფინანსური აქტივები	7,862,634	7,678,123

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია. ორგანიზაციის ძირითადი საკრედიტო რისკი უკავშირდება კლიენტებზე გაცემულ სესხებს. შესაბამისად, საკრედიტო რისკი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მიკრო საფინანსო ორგანიზაციის რისკების მართვაში. აღნიშნული რისკი გამოწვეულია იმ შემთხვევებით, როდესაც მსესხებლები ვერ ასრულებენ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. იმისათვის, რომ მსგავსმა შემთხვევებმა ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ორგანიზაციას საკრედიტო რისკის მართვის მიზნით შემუშავებული აქვს ისეთი პოლიტიკები და პროცედურები, რომელიც მოიცავს პორტფელის კონცენტრაციის შეზღუდვის სახელმძღვანელო პრინციპებს და აყალიბებს საკრედიტო კომიტეტს, რომელიც აქტიურ მონიტორინგს უწევს საკრედიტო რისკს. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება ხელმძღვანელობის მიერ.

ორგანიზაცია რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო დეპარტამენტის მიერ. ორგანიზაცია სესხებს საკრედიტო რეიტინგებს არ ანიჭებს.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

დეფოლტის ალბათობა (PD)

PD მაჩვენებლები არის მაჩვენებლები კონკრეტული თარიღისთვის და გამოითვლება სტატისტიკური რეიტინგის მოდელის მიხედვით. იმ შემთხვევაში, თუ მსესხებელი ან სესხი მიგრირდება რეიტინგების კატეგორიებს შორის, აღნიშნულმა შესაძლოა, გამოიწვიოს ცვლილება შესაბამისი PD-ს შეფასებისას. PD-ს შეფასება ხდება საკონტრაქტო ვადის შესაბამისად წინასწარი გადახდის კოეფიციენტის გათვალისწინებით. PD-ს გაანგარიშება ხორციელდება სამი წლის საშუალო მონაცემების დამატებით და საბოლოო PD მიიღება მიგრაციის მატრიცების ექსტრაპოლაციის გამოყენებით.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD)

LGD არის სავარაუდო ზარალის მასშტაბი დეფოლტის შემთხვევაში. ორგანიზაცია აფასებს LGD-ს პარამეტრებს სესხის აღდგენის ისტორიაზე დაყრდნობით, დეფოლტის გამომწვევი მიზეზების საპირწონედ. LGD მოდელი ითვალისწინებს მხოლოდ ფულადი სახსრების დაბრუნებას. LGD-ს დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, დისკონტირების ფაქტორად ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ორგანიზაციის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. ორგანიზაციას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა	შვეიცარიული	სულ
				სტერლინგი	ფრანკი	
გაცემული სესხები	6,346,493	291,664	-	-	-	6,638,157
ფული და ფულის ეკვივალენტები	606,879	465,614	151,876	52	56	1,224,477
სულ ფინანსური აქტივები	6,953,372	757,278	151,876	52	56	7,862,634

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა	შვეიცარიული	სულ
				სტერლინგი	ფრანკი	
მიღებული სესხები	-	4,533,670	1,306,019	-	188,084	6,027,773
საიჯარო ვალდებულებები	33,548	-	-	-	-	33,548
სულ ფინანსური ვალდებულებები	33,548	4,533,670	1,306,019	-	188,084	6,061,321

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა	
				სტერლინგი	სულ
გაცემული სესხები	6,311,483	244,689	-	-	6,556,172
ფული და ფულის ეკვივალენტები	435,523	599,796	32,023	54,609	1,121,951
სულ ფინანსური აქტივები	6,747,006	844,485	32,023	54,609	7,678,123

ფინანსური ვალდებულებები	ლარი	დოლარი	ევრო	გირვანქა	
				სტერლინგი	სულ
მიღებული სესხები	-	4,725,832	366,325	706,980	5,799,137
საიჯარო ვალდებულებები	62,959	-	-	-	62,959
სულ ფინანსური ვალდებულებები	62,959	4,725,832	366,325	706,980	5,862,096

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი ორგანიზაციის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(755,278)	(776,269)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	755,278	776,269
ევროს გამყარება 20%-ით	(230,829)	(66,860)
ევროს გაუფასურება 20%-ით	230,829	66,860
შვეიცარიული ფრანკის გამყარება 20%-ით	(37,606)	-
შვეიცარიული ფრანკის გაუფასურება 20%-ით	37,606	-
გირვანქა სტერლინგის გამყარება 20%-ით	11	(130,474)
გირვანქა სტერლინგის გაუფასურება 20%-ით	(11)	130,474

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ორგანიზაციის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივის და ვალდებულების საპროცენტო განაკვეთი ფიქსირებულია, ამიტომ საპროცენტო განაკვეთის ცვლილება არ ახდენს გავლენას ორგანიზაციის შემოსავლებზე ან ხარჯებზე.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ ორგანიზაცია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში.

ფულადი ნაკადების მართვის მიზანია, რომ მუდმივად არსებობდეს საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ვალდებულებების მომსახურებისთვის საჭირო ფულადი სახსრები.

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან	5 წელზე	სულ
		5 წლამდე	მეტი	
მიღებული სესხები	355,966	4,762,500	909,307	6,027,773
საიჯარო ვალდებულებები	33,548	-	-	33,548
სულ ფინანსური ვალდებულებები	389,514	4,762,500	909,307	6,061,321

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური ვალდებულებები	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
მიღებული სესხები	936,652	4,862,485	-	5,799,137
საიჯარო ვალდებულებები	29,411	33,548	-	62,959
სულ ფინანსური ვალდებულებები	966,063	4,896,033	-	5,862,096

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

ორგანიზაცია ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალს ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. ორგანიზაციის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

ორგანიზაციის კაპიტალის მართვის მთავარი ამოცანებია იმის უზრუნველყოფა, რომ ორგანიზაცია აკმაყოფილებდეს კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს და ინარჩუნებდეს კაპიტალის ჯანსაღ კოეფიციენტებს იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი საქმიანობა და მაქსიმალურად გაზარდოს პარტნიორებისთვის შექმნილი ღირებულება.

საქართველოს ეროვნული ბანკი კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტებისგან მოითხოვს რომ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი (საზედამხედველო კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობა) იყოს მინიმუმ 18%. ორგანიზაციის საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობა 2025 და 2024 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საკუთარი კაპიტალი	1,856,656	1,971,922
სუბორდინირებული სესხი	1,013,370	1,013,370
საზედამხედველო კაპიტალი	2,870,026	2,985,292
აქტივები	7,929,957	7,834,018
საზედამხედველო კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	36.2%	38.11%

ორგანიზაცია შეესაბამება მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს – კაპიტალში განხორციელებული მინიმალური ფულადი შენატანი არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები.

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	კავშირის სახე	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მიღებული სესხები	მშობელი კომპანია	3,422,503	4,075,140
მიღებული სესხები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	1,156,944	1,162,637
მიღებული სესხები	საბოლოო მაკონტროლებელი მხარე	539,020	561,360
მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	კავშირის სახე	2025	2024
საპროცენტო ხარჯები	მშობელი კომპანია	(222,252)	(196,440)
საპროცენტო ხარჯები	საბოლოო მაკონტროლებელი მხარე	(32,907)	(71,840)
საპროცენტო ხარჯები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(108,001)	(41,129)
საიჯარო ხარჯი	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	(6,589)	(10,214)

ტრანზაქციები მენეჯმენტთან და დამფუძნებლებთან

	2025	2024
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	39,896	81,883

19. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს რომელიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იგი დაარსდა 2013 წლის 16 მაისს, საიდენტიფიკაციო კოდი: 445425763. ორგანიზაციის მმართველობის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ორგანიზაციის საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ არჩეული დირექტორი - სულხან ჯორთმენაძე.

სამეთვალყურეო საბჭოს სტრუქტურა შემდეგია:

თავმჯდომარე/წევრი: ვაჟა ბოლქვაძე;

თავმჯდომარის მოადგილე/წევრი: შოთა ბოლქვაძე;

წევრი: ივდით დიასამიძე.

ორგანიზაციის მეწილეების სტრუქტურა 2025 და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
სს „ჰეგან სა“, CHE-400.526.675, შვეიცარია	60%	60%
სულხან ჯორთმენაძე, 61001014228	20%	20%
ვაჟა ბოლქვაძე, 61006015518	20%	20%

ორგანიზაციის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა გიორგი-გოჩა ჭილაძე.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა კომპანიებში.

ორგანიზაციის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ორგანიზაციის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა მიზნობრიობის სესხების გაცემა, როგორცაა ბიზნეს, იპოთეკური და სამომხმარებლო სესხები. ორგანიზაციის კლიენტებს წარმოადგენენ როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირები. ორგანიზაცია საქმიანობს საქართველოს მასშტაბით.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების სექტორი რეგულირდება ეროვნული ბანკის მიერ. ორგანიზაცია ვალდებულია სხვადასხვა პერიოდულობით წარუდგინოს მარეგულირებელს ფინანსური მაჩვენებლები თუ სხვა სახის ინფორმაცია. ეროვნული ბანკის მხრიდან რეგულირების მიზანია სექტორის მდგრადობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია.

ორგანიზაციის დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლებისგან მიღებული სესხები და მათ მიერ ორგანიზაციაში განხორციელებული ინვესტიციები.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის დირექტორატის და სამეთვალყურეო საბჭოს მთავარი მიზანია საკრედიტო პორტფელის სტაბილური ფუნქციონირება, შესაძლო რისკის თავიდან აცილება და ამ გზით კრედიტორთა ინტერესების დაცვა, ასევე ქვეყნის და რეგიონის ეკონომიკაში საფინანსო სექტორის როლის ამაღლება, უცხოეთიდან ფინანსური რესურსების მოზილიზება და მათი საინვესტიციო რესურსად გარდაქმნა.

ორგანიზაციის მიზანია გრძელვადიანი, პარტნიორული ურთიერთობის დამყარება მომხმარებელთან, მათთვის კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებული გამჭვირვალე და სწრაფი ფინანსური გადაწყვეტილებების შეთავაზება, მომხმარებლის პასუხისმგებლიანი დაკრედიტება, რაც მიზნად ისახავს ჭარბვალიანობის თავიდან აცილებას. მომხმარებლებს საშუალება აქვთ შეადარონ ჩვენი ფასები და პირობები და გაეცნონ მოსალოდნელ საფრთხეებს.

ორგანიზაცია ითვალისწინებს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესს და შესაბამისად აქვს ჩამოყალიბებული ქცევის და ეთიკის პრინციპები, რაც არეგულირებს ასეთ დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ყველა ასპექტს.

ორგანიზაციის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ორგანიზაციის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. ორგანიზაციას ძირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები, ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

ბიზნეს გარემო

ორგანიზაციის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. ორგანიზაციის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას ორგანიზაციის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ომს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე; საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ლარის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს ორგანიზაციის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობის შესაბამისად ორგანიზაციაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები, რათა თანამშრომლებისთვის შექმნილი იყოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო. ორგანიზაციის სათავო ოფისში მოწყობილია ვიდეო მონიტორინგისა და სიგნალიზაციის სისტემები. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია ბეტონის კედლები და დაჯავშნილი მინები. ორგანიზაცია ზრუნავს არამარტო თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებას, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. მუდმივად ხდება შემოსულ პრეტენზიებზე რეაგირება.

კორპორაციული მმართველობა

კორპორაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისადმი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასადმი და ანგარიშვალდებული საწარმოსადმი.

ორგანიზაციის საქმიანობის, პოლიტიკის, სტრატეგიის, პროცედურების, შინაგანაწესის, სტრუქტურის, საშტატო განრიგის, დებულებების, ინსტრუქციების და ა.შ. დამტკიცება, ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია; აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა, მასთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა, იმ აქტივების შექმნა და გასხვისება, რომელთა ღირებულებაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს; იმ სესხებისა და ვალდებულებების აღება, რომელთა ოდენობაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს; პროკურის გაცემა და გაუქმება; რეკომენდაციების მომზადება პარტნიორის გადაწყვეტილებისათვის; გარე აუდიტორის არჩევა და სხვა.

დირექტორის ძირითადი მოვალეობების აღწერა:

დირექტორის მოვალეობაში შედის ორგანიზაციის მართვა და მე-3 მხარეებთან ურთიერთობა. ორგანიზაციას ჰყავს 1 დირექტორი. დირექტორს აქვს წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებები ორგანიზაციაში,

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

1. ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ (გაგრძელება)

დირექტორს აქვს უფლებამოსილება აწარმოოს ორგანიზაციის ყოველდღიური მართველობა, ისევე როგორც მართოს გარკვეული საკითხები, რაც არ არის კონკრეტულად მინიჭებული დამფუძნებელთა კრებისთვის ან სამეთვალყურეო საბჭოსთვის;

ორგანიზაცია ცდილობს დაამკვიდროს უმაღლესი სტანდარტები და გამორიცხოს ნებისმიერი ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევა, ჩვენთან თანამშრომლობის პირველი წინაპირობა პარტნიორთა საქმიანობაზე რეპუტაციასა და არსებით დეტალებზე ძირფესვიანი მოკვლევაა. პრიორიტეტულია, რომ არ მოხდეს უკანონო საქმიანობით მიღებული შემოსავლების ბრუნვა და ამ მხრივ ნებისმიერი ეჭვის შემთხვევაში მივმართავთ კომპეტენტურ ორგანოებს მითითებების მიღებისა და ადეკვატური რეაგირებისთვის.

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკა

ინტერესთა კონფლიქტის მართვის პოლიტიკის მიზანია განსაზღვროს არსებული პოტენციური და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის ფაქტების განსაზღვრის, მართვისა და აღკვეთის წესები. განმარტოს ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული თემები და დაეხმაროს თანამშრომლებს მათ პრევენციასა და ადეკვატურ რეაგირებაში, კერძოდ:

- განსაზღვროს ის სიტუაციები, სადაც შესაძლებელია წარმოიშვას ინტერესთა კონფლიქტი;
- ჩამოაყალიბოს ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენის, პრევენციისა და მართვის პროცედურები, მექანიზმები და სისტემები;
- დაიცვას ორგანიზაციის, მისი მომხმარებლის, თანამშრომლების, ინვესტორების ინტერესები, კონფლიქტის აღმომგზვრელი შესაბამისი ზომების შემუშავებით;
- უზრუნველყოს საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებთან შესაბამისობა;

ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის მიზნით დაწესებული შეზღუდვები/აკრძალვები:

- საქმიანობა დამსაქმებელი ორგანიზაციის გარეთ;
- ნათესაური კავშირები დაქვემდებარებულ თანამშრომელთა შორის;
- აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულება;
- ნარკოდამოკიდებულება;
- პერსონალური ტრანზაქციები

პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

დოკუმენტის მიზანია პერსონალური მონაცემების შესახებ საქართველოს კანონისა და საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, საჭირო პროცესების და რეგულაციების დანერგვა და აღწერა. ამ კუთხით თანამშრომელთათვის აუცილებელია შეზღუდვების დაწესება და ამავდროულად მათი პერსონალური მონაცემთა დაცვა უკანონო და არამიზნობრივი გამოყენებისაგან.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი კოეფიციენტები	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი	1,900,871	1,746,915
სულ აქტივები	7,929,957	7,834,018
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	8	8

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში იყო 8 ადამიანი. ორგანიზაციას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები, რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

როგორც დამქირავებელი, შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოფოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. ორგანიზაციის მენეჯმენტი და დამფუძნებლები პასუხისმგებლობით უდგებიან ბიზნესის სპეციფიკიდან გამომდინარე არსებულ რისკებს და მუდმივად ზრუნავენ თანამშრომლების პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, რათა უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკაში მოქმედი სტანდარტების და პროცედურების დაცვა.

3. შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“-ის განვითარების გეგმები

ორგანიზაციის სტრატეგიის მთავარი მიზანი ბაზარზე სასესხო პორტფელის მოცულობის გაზრდაა, ასევე საქმიანობის სტაბილური ფუნქციონირების, საიმედობის და მდგრადობის უზრუნველყოფა. შესაძლო რისკების თავიდან აცილება და ამ გზით კრედიტორთა ინტერესების დაცვაა.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიატა კაპიტალ“ მუდმივად ცდილობს, რომ ბიზნეს სტრატეგია მაქსიმალურად იყოს მორგებული ბაზრის მოთხოვნებზე, ვფიქრობთ ახალ საკრედიტო პროდუქტებზე ფიზიკური და იურიდიული პირების და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებისათვის, რათა დღევანდელი თვითდასაქმებული მეწარმეები ვიხილოთ მზარდი მცირე და საშუალო ბიზნესის ლიდერებად, რომლებსაც თვისებრივად ახალი ეკონომიკური და სოციალური რეალობის შექმნა შეუძლიათ საქართველოში.

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი მიზანი, მომხმარებელთან ფინანსური შუამავლობის დონის ამაღლებაა, ასევე საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ აჭარის რეგიონში, შესაბამისად ორგანიზაციის განვითარების სტრატეგია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებს ავლენენ.

სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ცვლილებებს, რომლებიც სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, სირთულეებს გვიქმნის გრძელვადიანი სტრატეგიის ჩამოყალიბებაში.

ორგანიზაციას აქვს უცხოელ პარტნიორებთან მუდმივი კომუნიკაცია, რომელთანაც მიღწეული გვაქვს შეთანხმება საჭიროების შემთხვევაში გამოგვიყონ ახალი საკრედიტო ხაზი.

საგანგებო სიტუაციის პირობებში ორგანიზაცია სრულად აკმაყოფილებს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ეკონომიკურ ნორმატივებს და ლიმიტებს სახედამხედველო კაპიტალის და ლიკვიდობის კოეფიციენტის სახით.

ორგანიზაციაში დაინერგა ელექტრონული Know Your Clients- კითხვარი, კლიენტის მონაცემების მისაღებად და რისკის დონეების განსაზღვრისათვის.

ასევე ორგანიზაცია განახორციელებს მონაცემთა მიმოცვლის სათანადო ფორმატის უზრუნველყოფას შემსრულებლის ინფრასტრუქტურაში არსებული ყოველდღიურად განახლებადი Global WatchLists (Terrorists, Sanctions & PEP...) სიების მიმართ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შემუშავებული აქვს (AML) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების რისკის შეფასებისა და ორგანიზაციის მასშტაბით რისკის ანალიზის სახელმძღვანელო წესები, პრევენციული ღონისძიებების განხორციელების წესები. ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებული პროცედურები. კლიენტის (ML/TF) რისკის დადგენის, მისი კლასიფიკაციის, გადაფასების და მონიტორინგის წესების შესახებ, განვახლებთ პოლიტიკა და პროცედურები ჩვენი ML/TF რისკის მართვის აქტივობების გასაძლიერებლად.

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2025 წელს ორგანიზაცია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2025 წელს არ მომხდარა ორგანიზაციის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

ორგანიზაცია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ორგანიზაციის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2025	2024
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,705	3,695
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	38.1	33.8
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	10,297	9,141
მშპ-ის რეალური ზრდა, %	7.5%	9.4%
საშუალო წლიური ინფლაცია	103.9	101.1
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,688.7	966.3
უმუშევრობის დონე, %	13.9%	13.9%

ორგანიზაციის საქმიანობის ძირითადი აქცენტი გადატანილია ფინანსური რისკების შეფასებაზე და მართვაზე, რაც მოიცავს საკრედიტო რისკს, საპროცენტო რისკს, სავალუტო რისკს, გარეხალხურ რისკს და მოზიდული კაპიტალის გამოყენების რისკს. სავალუტო რისკი წარმოიშობა მომავალში სავალუტო კურსების მოძრაობის გაურკვევლობით, როდესაც ეროვნული ვალუტის ღირებულების შემცირება უცხოური ვალუტების მიმართ გამოიწვევს ორგანიზაციის წმინდა შემოსავლის ან წმინდა აქტივების ღირებულების შემცირებას.

ორგანიზაციამ კაპიტალის ადეკვატურობის განსაზღვრული კოეფიციენტების გაანგარიშების სრულყოფის მიზნით შეიმუშავა რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების კლასიფიკაციის სისტემა, სადაც არსებული საკრედიტო სავალუტო რისკების გარდა, გათვალისწინებული იქნება სხვა დამატებითი რისკებიც.

შიდა კონტროლი და რისკების მართვა ორგანიზაციის საქმიანობის არსებით ნაწილსა და მისი ოპერაციების აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს, ორგანიზაციის წინაშე არსებული ძირითადი რისკებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა.

ორგანიზაცია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რაც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს დამფუძლებლებისგან. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭიროა, რომ ეკონომიკის რეალური ზრდის ტემპი წლიურად 7 %-ს შეადგენდეს. აღნიშნული მაჩვენებლის უზრუნველსაყოფად, მწარმოებლობის ზრდასთან ერთად, ეკონომიკაში ინვესტიციების მოცულობა ყოველწლიურად 10 ან მეტი პროცენტით უნდა გაიზარდოს. გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორს ფინანსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მსგავსი შედეგები აჩვენა სხვა ორგანიზაციების (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) კვლევებმაც. ფინანსებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და შესაბამისად ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის საჭირო ტემპის მისაღწევად.

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

სესხების გამოცდილება

მისო პიატა კაპიტალის უმთავრესი ბიზნეს აქტივობა სესხებია. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ ვიყოთ პასუხისმგებლიანი გამსესხებელი, რომელიც მომხმარებელს ყველა საფეხურზე უწყობს ხელს და მის საჭიროებებს აკმაყოფილებს. სესხება ქვეყნის ეკონომიკის მხარდასაჭერად ორგანიზაციის როლის მთავარი ნაწილია.

პასუხისმგებლიანი სესხება ჩვენთვის ნიშნავს გავზარდოთ წვდომა ფინანსებზე ისე, რომ დაცული იქნას რისკის მართვის პრაქტიკა და მომხმარებლის დაცვის პრინციპები სესხის სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. მიზნად ვისახავთ, მომხმარებლებს შევუქმნათ უწყვეტი, მარტივი მარშრუტი სესხამდე, გამოვრიცხოთ ყველა არასაჭირო დაბრკოლება.

ბიზნეს კლიენტების საჭიროებების დაკმაყოფილება

ჩვენ ვემსახურებით ბიზნესს, პატარა და საშუალო ზომის კომპანიებს. კარგად გვესმის, რომ თითოეული ბიზნესი უნიკალური ერთეულია, თავისი განსხვავებული პარამეტრებით - ბიზნეს მოდელით, ოპერაციების მასშტაბითა და იმ ფინანსური გარემოთი, რომელში ოპერირებაც უწყევთ. როგორც ადამიანები, ბიზნესებიც ვითარდებიან და იზრდებიან, იცვლება მათი საჭიროებებიც. მომხმარებელზე ორიენტირებულობა ნიშნავს მოვუსმინოთ თითოეულ ბიზნესს და გავიგოთ მათი საჭიროებები იმისთვის, რომ ფინანსური გადაწყვეტები მათი განვითარების შესაბამისად შევთავაზოთ. გვსურს ვიყოთ ბიზნესში მათი სანდო პარტნიორები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარე ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

ორგანიზაციის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და ანალიზებს ორგანიზაციის საკრედიტო მენეჯერი, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად კლიენტთან და ამტკიცებს საკრედიტო კომიტეტი, რომელშიც შედის ორგანიზაციის დირექტორიც.

რესტრუქტურირაცია და თანხების ამოღება: ბანკი ეხმარება ფინანსური პრობლემების მქონე მსესხებლებს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებაში. საქმეები განიხილება ინდივიდუალურად. როდესაც მომხმარებელი აჭარბებს შეთანხმებულ ლიმიტს ან ვერ ფარავს თვიურ გადასახადს, ბანკი უკავშირდება მომხმარებელს და სთხოვს მდგომარეობის გამოსწორებას. თუ საკითხი არ მოგვარდა, ამოღების გუნდს შეუძლია დაიწყოს სესხის რესტრუქტურირაციის პროცესი, შეცვალოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდის პირობები, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში იგზავნება ოფიციალური გაფრთხილების წერილი, შემდეგ ორგანიზაციის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან ავტომატურად პროგრამული უზრუნველყოფით კლიენტს ეგზავნება მოკლე ტექსტური შეტყობინება მიმდინარე დავალიანების შესახებ.

ჩვეულებრივ, ორგანიზაცია არბიტრაჟს მხოლოდ მაშინ მიმართავს, როდესაც სესხი 120 დღეზე მეტი ხნითაა ვადაგადაცილებული, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში ორგანიზაცია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით.

როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს ორგანიზაციის მოთხოვნას და აქტივები რეალიზდება ღია ელექტრონული აუქციონის წესით, ორგანიზაციის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად. სასამართლოში საქმის წარმოებას შესაძლოა დაახლოებით ერთ წელზე მეტი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს კიდევ ექვს თვეზე მეტი.

საბაზრო საოპერაციო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც განაპირობებს ინვესტიციის ღირებულების შემცირებას საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მთლიანად პროცესზე და ფინანსური ბაზრების მდგომარეობაზე. იგი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ აქტივების დივერსიფიცირებით, რომლებიც არ

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

არიან კორელირებული ბაზართან როგორცაა ალტერნატიული კლასის აქტივები. საბაზრო რისკს, სისტემურ რისკსაც უწოდებენ, რადგან ის დაკავშირებულია ფაქტორებთან, მაგალითად როგორცაა რეცესია, რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად ბაზარზე.

საბაზრო რისკი მოიცავს შემდეგ რისკ ფაქტორებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საბაზრო რისკს:

1. სავალუტო რისკი - ეს არის სავალუტო გაცვლის კურსის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.
2. კაპიტალის რისკი - აქციათა ფასის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.
3. ინფლაციის რისკი - ინფლაციამ პოტენციურად შეუძლია განაპირობოს ფასების ზრდა ყველა საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც თავის მხრივ იწვევს ფულის გაუფასურებას.
4. საპროცენტო განაკვეთების რისკი - რისკი, რომელიც მოდის პროცენტის გაზრდის ან შემცირების საფუძველზე. ფინანსური ისტებლიშმენტი რუტინულად ეჩეხება სხვადასხვა ტიპის რისკებს საოპერაციო საქმიანობისას.

რისკები განპირობებული ფინანსური ზარალის გაურკვევლობით, შეუძლია დააზიანოს ბიზნესი, ან ზიანი მიაყენოს დროსთან ერთად თუ დროულად არ დაგვლევთ მას. რისკის მართვის მექანიზმი უნდა შემუშავდეს რისკების მართვის ფილოსოფიის საფუძველზე, რათა მინიმუმაცა გაუკეთოთ იმ რისკებს, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად დააზარალონ ორგანიზაციის ფინანსური მდომარეობა. ეს გულისხმობს პოტენციური რისკების გამოვლენას, ანალიზს და იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც ამ რისკებს შეამცირებს ან გააუვნებლებს. ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ორგანიზაციის ძირითადი ამოცანაა თანამედროვე მეთოდებით და ტექნოლოგიებით ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და ანალიზი. ამავდროულად საოპერაციო საკრედიტო რისკების ეფექტური მართვა და სახელმწიფო რეგულაციების სწორი გაგება და შესატყვისი შიდა განაწესის პოლიტიკის შემუშავება რათა ორგანიზაციის მართვა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეგულაციებს და ნორმატივებს. ყველაფერი ეს არის ერთ-ერთი პერსპექტიული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გავიგოთ ყველაზე მკაცრი, პერმანენტული და მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური ბიზნესში და უზრუნველყოთ დანაკარგების შემცირება ორგანიზაციის საქმიანობაში. ასევე, საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეკუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. ორგანიზაცია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული ორგანიზაციის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციის და შეჯერების პროცედურების ჩათვლით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით ხელმძღვანელობა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივების ლიკვიდურობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას.

აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

სამომავლო სტრატეგია და მიზნები

ორგანიზაცია მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების საქმიანობა, განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება, მოსახლეობისთვის, ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება და რაც მთავარია წლიური ბრუნვის შენარჩუნება და ზრდა, რაც თავის მხრივ ბიუჯეტში მიმართული თანხების ზრდის პირდაპირპროპორციულია. აღსანიშნავია, რომ არ იგეგმება მიმართულებების რადიკალური ცვლილება ან არა-პროფილურ ბიზნესებში შესვლა. ორგანიზაციის გეგმებით, აღნიშნული კაპიტალური დანახარჯების ფინანსირება მოხდება საკუთარი რესურსებით. დამატებით ორგანიზაცია გეგმავს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ადამიანურ რესურსზე: მოიზიდოს პროფესიონალი კადრები და მოახდინოს არსებული დასაქმებული კადრების

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

გადამზადება. ორგანიზაციის სტრატეგიაა განაგრძოს მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება,

მდგრადი ბიზნესი ადამიანების გაძლიერება მდგრადი შესაძლებლობების შექმნით

ჩვენ გვჯერა გაზიარებული წარმატების. ჩვენთვის მდგრადი განვითარება ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომ გავაძლიეროთ ჩვენი მომხმარებლები, ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი საზოგადოება, ვაწარმოოთ ბიზნესი სწორად - კორპორაციული მართვის უმაღლესი სტანდარტებისა და რისკების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დაცვით. აღნიშნული გვეხმარება ეფექტურად შევამსუბუქოთ ნეგატიური გავლენა, რომელიც შეიძლება გვქონდეს, პირდაპირ თუ ირიბად, ეკონომიკაზე, ადამიანებსა და გარემოზე და ხელი შევუწყოთ იმ საზოგადოების მდგრად განვითარებას, სადაც ჩვენ ვოპერირებთ.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 15 ივნისს:

სულხან ჯორთმენაძე
დირექტორი

თამარ წილოსანი
ბუღალტერი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია პიაცა კაპიტალ“

მმართველობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

გადამზადება. ორგანიზაციის სტრატეგიაა განაგრძოს მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება,

მდგრადი ბიზნესი ადამიანების გაძლიერება მდგრადი შესაძლებლობების შექმნით

ჩვენ გვჯერა გაზიარებული წარმატების. ჩვენთვის მდგრადი განვითარება ნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომ გავაძლიეროთ ჩვენი მომხმარებლები, ჩვენი თანამშრომლები და ჩვენი საზოგადოება, ვაწარმოოთ ბიზნესი სწორად - კორპორაციული მართვის უმაღლესი სტანდარტებისა და რისკების მართვის საუკეთესო პრაქტიკის დაცვით. აღნიშნული გვეხმარება ეფექტურად შევამსუბუქოთ ნეგატიური გავლენა, რომელიც შეიძლება გვკონდეს, პირდაპირ თუ ირიბად, ეკონომიკაზე, ადამიანებსა და გარემოზე და ხელი შევეწყოთ იმ საზოგადოების მდგრად განვითარებას, სადაც ჩვენ ვოპერირებთ.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2026 წლის 15 ივნისს:

სულხან ჯორთმელიძე
დირექტორი



თამარ წილოსანი
ბუღალტერი